სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პროფესორის ატესტაციის წესი

გორი
2018 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) პროფესორის ატესტაციის პირობებს და წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს იუნკერების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ბ) ატესტაცია – პროფესორის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

მუხლი 3. ატესტაციის მიზანი

ა) აკადემიური პერსონალის(პროფესორის) პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების განსაზღვრა მის მიერ დაკავებული თანამდებობენის მოთხვონების შესაბამისად;

ბ) აკადემიური პერსონალის(პროფესორის) კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა.

მუხლი 4. ატესტაციის პროცდურა

ა) პროფესორი, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.

მუხლი 5. საატესტაციო კომისია

ა)პროფესორის ატესტაციის მიზნით აკადემიაში იქმნება საატესტაციო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით;

ბ)საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ: რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო სამსახურის უფროსი, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული წევრები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია.

გ) საატესტაციო კომისის ფუნქციაა პროფესორების ატესტაცია - პროფესორის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

დ) პროფესორი საატესტაციო კომისიაში ყოველწლიურად, წლის ბოლოს, წარმოადგენს თვითშეფასების ანგარიშს, რომელშიც ასახავს ინფორმაციას მიმდინარე წელს მისი პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის და მიღწევების, კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების, იუნკერების სუპერვიზიის და სხვა საქმიანობის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით

პროფესორმა უნდა აღწეროს და შეაფასოს მის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა და მოიყვანოს კონკრეტული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში მის მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ (დანართი 1).

მუხლი 6. პროფესორის საქმიანობის შეფასება

ა) პროფესორის საქმიანობის შეფასება ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიის მმართველობის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად აკადემიის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (დანართი 2). მმართველობის შეფასება გამოისახება ქულებში.

ბ) საატესტაციო კომისიას ევალება პროფესორის თვითშეფასების განხილვა. მმართველობის მხრიდან პროფესორის შეფასების დაფიქსირება მოხდება საატესტაციო კომისიის სხდომაზე.

გ) საატესტაციო კომისია პროფესორის თვითშეფასების ანგარიშს და მმართველობის შეფასებას წარადგენს აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში. პროფესორის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში და მმართველობისს შეფასება ინახება პროფესორის პირად საქმეში.

დ) ყოველწლიური შეფასების შედეგები შესაძლებელია გახდეს პროფესორისთვის მადლობის გამოცხადების, სიგელზე წარდგენის საფუძველი.

ე) პროფესორს ყოველ სემესტრში თვითშეფასების საფუძველზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით უნდა დაუგროვდეს მინიმუმ 36 ქულა, საგანმანათლებლო საქმიანობის თვითშეფასებით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის მინიმუმ 60% - 18 ქულა და მმართველობის შეფასებით 18 ქულა - სულ 72 ქულა.

ვ) ამგვარად, 5 წლის განმავლობაში პროფესორის თვითშეფასებებით და მმართველობის შეფასებებით დაგროვებული ქულათა ჯამი თუ არის მინიმუმ 360 ქულა, ეს ნიშნავს, რომ პროფესორის პროფესიული უნარები, აკადემიური საქმიანობა და სამეცნიერო საქმიანობა შესაბამისობაშია დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან და პროფესორს ატესტაცია გავლილად ეთვლება.

ზ) იმ შემთხვევაში, თუ 5 წლის განმავლობაში მიღებული ქულათა ჯამი 360 ქულაზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ პროფესორის პროფესიული უნარები, აკადემიური საქმიანობა და სამეცნიერო საქმიანობა არ არის შესაბამისობაში დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან და პროფესორს ატესტაცია გავლილად არ ეთვლება.

თ) საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესორის ატესტაციის შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. საატეტაციო კომიისიის მდივანი შემაჯამებელ ოქმს დაუგზავნის ყველა პროფესორს ელფოსტაზე.

მუხლი 7. პროფესორის ატესტაციის შედეგები და აპელაცია

ა) საატესტაციო კომისია ზემოაღნიშნული კრიტერიუმით აფასებს პირის აქტივობას,

მის მიღწევებს ბოლო 5 (თანამდებობის დაკავებიდან, ან წინა ატესტაციიდან დღემდე) წლის მანძილზე. დაჯამებული ქულების რაოდენობა თუ შეადგენს დამაკმაყოფილებელ ქულას, მაშინ პირი კვლავ 5 წლით იკავებს პროფესორის აკადემიურ თანამდებობას.
ბ) საატესტაციო კომისია საატესტაციო დასკვნას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რათა გამოიცეს სათანადო სამართლებრივი აქტი პროფესორის მიერ ატესტაციის წარმატებით გავლის თაობაზე.
გ) თუ პროფესორმა ვერ გაიარა ატესტაცია, პროფესორის ადგილზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წარდგინებით.
დ) პროფესორს უფლება აქვს გაასაჩივროს ატესტაციის შედეგები რექტორის სახელზე დაწერილი განცხადებით.
ე)სადავო ვითარების შექმნისას, რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ქმნის 3 კაციან სააპელაციო კომისიას, კომისია იქმნება რექტორის სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
ვ) სააპელაციო კომისია შეიძლება მთლიანად დაკომპლექტდეს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული სპეციალისტებით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი,დოქტორი) ან იყოს შერეული. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე, აუცილებლად მოწვეული უნდა იყოს (მდივნად შეიძლება ადგილობრივი სპეციალისტი აირჩეს).
ვ) კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას 3 წევრიდან ესწრება 2. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 8. ატესტაციის შედეგები
ა) ატესტაციის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ბ) ატესტაციის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ,აკადემიის ვებგვერდზე.
გ)ატესტაციის შედეგები და სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება საჯაროა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება
აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მიმღები ორგანოს გადაწყვეტილებით.